ხელშეკრულება № 05

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ფოთი 22 ივნისი 2017 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ ფოთის № 6 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შემსრულებელი თამაზი პაჭკორიას სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „ტოტალ", წარმომადგენელი მისის დირექტორი ნუგზარი ბარამია, (შემდგომში - მიმწოდებელი) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ძალოვანი კაბელის მოწყობის სამუშაოს შესყიდვა (CPV:31600000) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

შესასრულებელი სამუშაოს საერთო ღირებულება შეადგენს 4999,00 (ოთხი ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი ლარი) ლარს და მოიცავს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1 შესრულებული სამუშაო ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირი.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება შესრულებული სამუშაოს შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა

4.1. სამუშაოს შესრულების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი - ქალაქი ფოთი.

4.2. სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება.

დ) დაიცვას უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ნორმები;

ე) სამუშაოების პარალელურად, საკუთარი ძალებით და სახსრებით პერიოდულად გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი ნარჩენი მასალებისაგან.

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ - ქალაქ ფოთის № 6 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შემსრულებელი ან მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმებას.

მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. სამუშაოს შესრულების გარანტია

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

8.2. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება უნდა მოხდეს შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 9. ფორსმაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 11. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება 2017 წლის 22 ივნისიდან 2017 წლის 10 ივლისამდე.

12.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 02 აგვისტოს ჩათვლით. (ხელშეკრულების მოქმედების ვადა მინიმუმ 30 დღით უნდა აღმეტებოდეს მომსახურების მიღების ვადას)

მუხლი 13. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: სსიპ ქალაქ ფოთის № 6 საჯარო სკოლა მის. : ქ.ფოთი,დავითაიას # 50 ს/კ 215108327 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ვითიბი ბანკი" ბანკის კოდი UGEBGE22 ა/ა GE93VT0600000001083408 **დირექტორი** ---------- (ხელმოწერა) ბ.ა	**მიმწოდებელი:** შ.პ.ს. „ტოტალ" ს/კ 215139151 მის.: ქ.ფოთი, ჭანტურიას 2 ტელ.: საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „თიბისი ბანკი" ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE73TB7265336050100002 ---------- (ხელმოწერა)

№	სამუშაოთა დასახელება	განზ.	ნორმატიული რესურსი		მახალა		ხელფასი		სამშენებლო მექანიზმები		ჯამი
			ერთ.	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
	1. სამშენებლო სამუშაოები										
1	გრუნტის უკუცაყრა ხელით (ნაწილობრივი)	მ3		11.24							
	შრომის დანახარჯები	კაც/სთ	1.21	13.60			4.00	54.40			54.40
2	გრუნტის დატვირთვა ხელით ა/მ	ტონა		24.63							-
	შრომის დანახარჯები	კაც/სთ	0.53	13.05			4.00	52.20			52.20
3	გრუნტის გატანა 5 კმ-ზე	ტონა		24.63					4.00	98.52	98.52
	ჯამი							106.60		98.52	205.12
	ზედნადები ხარჯები	%		10.00							20.51
	ჯამი										225.63
	მოგება	%		8.00							18.05
	ჯამი 1										243.68
	2. სამონტაჟო სამუშაოები										
1	ქვაბულის მომზადებაა ხრილში კაბელის ჩასადებად (114გრძ.მ)	მ3		39.79							
	შრომის დანახარჯები	კაც/სთ	3.27	130.11			4.00	520.44			520.44
2	ქვიშის საფუძველის მომზადება ერთი კაბელისათვის	გრძ.მ.		113.68							-
	შრომის დანახარჯები	კაც/სთ	0.05	5.68			4.00	22.72			22.72
	სხვა მანქანა	ლარი	0.07	7.92					4.00	31.68	31.68
	მასალა:										-
	ქვიშა	მ3	0.05	5.68	9.000	51.12					51.12
	სხვა მასალა	ლარი	0.0005	0.06	3.200	0.19					0.19
3	ალუმინის ძარღვიანი კაბელის მონტაჟი კვეთით 4X95მმ2	გრძ.მ.		120.00							-
	შრომის დანახარჯები	კაც/სთ	0.11	13.20			4.00	52.80			52.80
	სხვა მანქანა	ლარი	0.003	0.36					4.00	1.44	1.44
	მასალა:										-
	ალუმინის ორმაგი იზოლაციანი ძარღვიანი კაბელი კვეთით 4X95მმ2	გრძ.მ.	1.00	120.00	15.000	1,800.00					1,800.00
	სხვა მასალა	ლარი	0.03	4.19	3.200	13.41					13.41
4	დამცავი პრასტმასის მილის მონტაჟი	გრძ.მ.		120.00							
	შრომის დანახარჯები	კაც/სთ	0.26	31.20			4.00	124.80			124.80
	სხვა მანქანა	ლარი	0.122	14.64					4.00	58.56	58.56
	მასალა:										-
	პლასტმასის მილი	გრძ.მ.		120.00	2.580	309.60					309.60
	სხვა მასალა	ლარი	0.08	9.84	3.200	31.49					31.49
5	ავტომატური გამომრთველი 100-იანი	ცალი		1.00							
	შრომის დანახარჯები	კაც/სთ	1.00	1.00			4.00	4.00			4.00
	სხვა მანქანა	ლარი	0.050	0.05					4.00	0.20	0.20
	მასალა:										-
	ავტომატური გამომრთველი	ცალი	1.00	1.00	58.000	58.00					58.00
	სხვა მასალა	ლარი	1.07	1.07	3.200	3.42					3.42
	ჯამი					2,267.23		724.76		91.88	3,083.87
	ზედნადები ხარჯები ხელფასიდან	%		75.00							543.57
	ჯამი										3,627.44
	მოგება	%		8.00							290.20
	ჯამი 2										3,917.64
	1+2 თავების ჯამი										4,161.32
	მასალების ტრანსპორტი	%		1.80							74.90
	ჯამი										4,236
	დღგ	%		18							762.52
											4,999

მიღება - ჩაბარების აქტი

ქ.ფოთი

01 ივლისი 2017 წელი

ერთ მხრივ,სსიპ ქალაქ ფოთის № 6 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შემსრულებელი თამაზი პაჭკორიას სახით (შემდგომში „მიმღები") და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „ტოტალ" (შემდგომში „მიმწოდებელი"),მისი დირექტორის ნუგზარ ბარამიას სახით, შევადგინეთ ეს აქტი 2017 წლის 01 ივლისი მასზედ, რომ „შემსყიდველსა" და „მიმწოდებელს" შორის 2017 წლის 22 ივნისის № 05 ხელშეკრულების თანახმად, შ.პ.ს „ტოტალ" - მა შეასრულა სსიპ ქალაქ ფოთის № 6 საჯარო სკოლაში ძალოვანი კაბელის მოწყობის სარემონტო სამუშაოების თანხით 4999,00 (ოთხი ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი ლარი) ლარი.

ჩატარებული სამუშაოების საბოლოო შედეგები მისაღებია მიმღებისთვის.აღნიშნული მიღება - ჩაბარების აქტის ხელმოწერა არ ათავისუფლებს „მიმწოდებლის" მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ერთი წლის განმავლობაში,შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს ობიექტზე აღმოჩენილი დეფექტის გამოსწორება,შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

აღნიშნული მიღება - ჩაბარების აქტის საფუძველზე ზემოხსენებული სამუშაო ითვლება ჩაბარებულად.

„მ ი მ ღ ე ბ ი"

სსიპ ქალქ ფოთის № 6 საჯარო სკოლის
დირექტორის მ/შემსრულებელი

თამაზი პაჭკორია

„ჩ ა მ ბ ა რ ე ბ ე ლ ი"

შ.პ.ს. „ტოტალ"-ის
დირექტორი

ნუგზარ ბარამია